დანართი №2

სსიპ კოლეჯი „ლაკადაში “პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “სადურგლო საქმე“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ირმა მეგრელიძე
წევრები:
თეკლე ცუცქირიძე
მამუკა ხოშტარია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქირიძე

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი „ლაკადა“

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 242728679

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ კოლეჯ „ლაკადას“ მიერ დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 36-ე მუხლის მე-12 პუნქტის, 51-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 02 ივნისის MES 0 26 0000660276 ბრძანების საფუძველზე, ამავე ბრძანებით შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით - ირმა მეგრელიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე), თეკლე ცუცქირიძე- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (წევრი); მამუკა ხოშტარია – დარგის ექსპერტი (წევრი) – „სადურგლო საქმე“, ირმა ღარიბაშვილი - დარგის ექსპერტი (წევრი) - ,,სამშენებლო სამღებრო სამუშაოები", „შედუღება“; (შემდგომში „ექსპერტთა ჯგუფი“), თემურ საღინაძე - დარგის ექსპერტი (წევრი) - ,,კულინარია"; თამარ ზარანდია - დარგის ექსპერტი (წევრი) - ,,მეხილეობა" დაგვევალა მიმდინარე წლის 16,17, 18 ივნისს დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით და 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ,,ე.ა" კომპონენტთან შესაბამისობაში განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება მისამართზე, მის.: წალენჯიხის მუნიციპალიტეტი ქ. ჯვარი, ყაზბეგისქ. N2, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭალეს ფოცხოეწერის დასახლება სსიპ კოლეჯში „ლაკადა“. (შემდგომში „კოლეჯი“ ან „დაწესებულება“ ან დასახელება სრულად) ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოხსენებულ ბრძანებებს, კოლეჯის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, კოლეჯის ვებგვერდსა და მასზე განთავსებულ ინფორმაციას, კოლეჯში განხორციელებული ბოლო ვიზიტის დასკვნასა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებას. 2026 წლის 13 ივნისს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით შედგა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგის პროექტი. დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობის დადასტურებისათვის კოლეჯის მიერ წარმოსადგენი მტკიცებულებების/დოკუმენტების ნუსხა, ინტერვიურების სრულფასოვნად წარმართვის მიზნით კითხვების ჩამონათვალი და ჯგუფის წევრებს გადაუნაწილა ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე, რომლის მიხედვითაც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ვიზიტის დღის წესრიგი (იხ. დანართი N1) და დაიგეგმა ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები. 2026 წლის 16,17,18 ივნისს ექსპერტთა ჯგუფმა, ცენტრის წარმომადგენელთან ერთად, განახორციელა ვიზიტი კოლეჯში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დაწესებულების პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, გაესაუბრა კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალს, პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს, პროგრამების განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა კოლეჯის ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო, სრულად იქნა შესწავლილი კოლეჯის მიერ ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვა-ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები და წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტი. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ვითარებაში, ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ჯგუფის წევრებთან ერთად დაწესებულებას წარუდგინა პრეზენტაცია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეჯერებული მიგნებების შესახებ.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ■ არ შეესაბამება
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ■ არ შეესაბამება

II. <u>გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება:</u>

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტის ე.ა) კომპონენტი არ არის შეფასებული, ვინაიდან თვითშეფასება მომზადებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ადმინისტრაციული წარმოებისთვის განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად და არ მოიცავს იმ კომპონენტების შეფასებას, რომელთა შემოწმების საჭიროებაც წარმოიშვა ახალი სასწავლო სივრცეების დამატების გამო. გამომდინარე აქედან დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზი:

- სტანდარტი 5.1.1.5 ხარვეზია, - მოქმედ უსაფრთხოების სპეციალისტის სერტიფიკატს ვადა გაუვიდა.

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

- სტანდარტი 5.1.2.1. მეტწილ შესაბამისობაშია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ აღნიშნულ ფართში არაა დაცული უსაფრთხოების ზომები, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- სტანდარტი 5.1.2.3. მეტწილ შესაბამისობაშია, „სადურგლო საქმის“ სახელოსნოსთვის საგანგებო მართვის გეგმა და საგანგებო შტაბის შემადგენლობა არაა განსაზღვრული შესაბამისი დოკუმენტით, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა;

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

- ინდიკატორი 2.1.1.6 - დოკუმენტაციის შესწავლისა და ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, სამუშაო ჯგუფის საქმიანობის დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოდგენილია. პროცესის დოკუმენტური გამართულობის უზრუნველყოფის მიზნით,

მიზანშეწონილია ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დაწყებამდე სამუშაო ჯგუფის შექმნა ფორმალიზდეს დირექტორის შესაბამისი ბრძანებით.

- **2.4.1.1 სტანდარტი -სასწავლო გეგმაში გამოსწორდეს ტექნიკური უზუსტობები.**
- **2.4.1.6 სტანდარტი - თითოეული ჩარხისთვის ხელმისაწვდომია უსაფრთხოების წესები. ამასთან, უსაფრთხოების ინფორმაციის უკეთ აღქმისა და ხილვადობის უზრუნველსაყოფად, სასურველია შესაბამისი უსაფრთხოების ნიშნები უფრო თვალსაჩინო ფორმატში განთავსდეს შესაბამის ჩარხთან ახლოს.**

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ 16/07/2026 წლის N938982 კორესპონდენციით სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარუდგინა არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა დასკვნის პროექტში წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. განხილულია სამი ინდიკატორი:

- 5.1.1.5 სტანდარტის ფარგლებში გამოვლენილ საკითხთან დაკავშირებით სსიპ კოლეჯ „ლაკადას" დირექტორის 2026 წლის 13 ივლისის №02/25 ბრძანებით დაინიშნა და სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი (წარმოდგენილია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულება, ბრძანება დანიშვნის შესახებ დშრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სერტიფიკატი - დანართი №1-ის სახით).
- 5.1.2.3 სტანდარტი-საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამის სამსახურთან გაფორმებულია საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან, კანონიერებასა და წესრიგთან დაკავშირებული მომსახურების ხელშეკრულება. ამასთან, დაწყებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთან შეთანხმების პროცესი (დანართი №2).
- 5.1.2.1 სტანდარტთან მიმართებით, სადურგლო საქმის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების სრულად უზრუნველყოფად, წყლის რეზერვუარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულია სახელმწიფო ტენდერი (დანართი №3).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულების მიერ დამტკიცებულია **ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა**, რომელშიც დეტალურადაა განსაზღვრული შესასრულებელი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და შესრულების ვადები, რომელიც წარმოადგინა დანართი №5-ის სახით.

დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია შეისწავლა ექსპერტთა ჯგუფმა და შეფასებები დაკორექტირდა შესაბამისობის გეგმის მიხედვით, კერძოდ;

- 5.1.2.3 სტანდარტი შეფასდა როგორც მეტწილი;
- 5.1.2.1 სტანდარტი შეფასდა როგორც მეტწილი;
- ხოლო 5.1.1.5 სტანდარტი, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანის მტკიცებულება, თუმცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის "საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" №99/ნ ბრძანების 38-ე მუხლის მეცხრე პუნქტის შესაბამისად "ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ დაწესებულების მიერ საავტორიზაციო განაცხადსა და/ან მასზე თანდართულ დოკუმენტებში განხორციელებული ცვლილებები ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ მიიღება მხედველობაში." - გამომდინარე აქედან აღნიშნული ინდიკატორი და **შესაბამისად 5.1. სტანდარტი დახარვეზდა.**

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	სადურგლო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მე-4
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სადურგლო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	31.03.2026 წლის ბრძ. N 04/19
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ.ჯვარი, ყაზბეგის ქ N2; 2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭალეს ფოცხოეწერის დასახლება.
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	79

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	109

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სადურგლო საქმე“ სრულ შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან და სტრატეგიულ მიზნებთან. სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმის მიხედვით, კოლეჯი ახორციელებს შრომის ბაზარზე ორინტირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

კოლეჯის მისიაა რეგიონისა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვით მიაწოდოს მრავალპროფილური და ხარისხიანი პროფესიული განათლება.

კოლეჯი ორიენტირებულია შრომის ბაზარზე მოთხოვნადი სპეციალისტების მომზადებაზე, რომლებიც წარმატებულად დასაქმდებიან და ხელს შეუწყობენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

კოლეჯი წლებია ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ხის მხატვრული დამუშავება“. მიღებული გამოცდილება, ინფრასტრუქტურა, საწარმოებთან დამყარებული პარტნიორობა და ბაზრის მოთხოვნა გახდა საფუძველი პროგრამის „სადურგლო საქმის“ დამატების.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

სსიპ კოლეჯ “ლაკადაში” პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სადურგლო საქმე“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები დარეგულირებულია კოლეჯის მიერ დამტკიცებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით და სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული და გამჭვირვალე წესის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე იმ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე განათლება, ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება საკმარისია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის დადგენილ ვადაში. აღნიშნული პროცესი რეგულირდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესით და ინტეგრირებულია კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით და ასახულია პროგრამის დოკუმენტში. დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება; „სადურგლო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და გამჭვირვალედ, სრულად შეესაბამება მოქმედ ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოს, უზრუნველყოფს სამართლიან შერჩევას და ქმნის რეალურ შესაძლებლობას სწავლის შედეგების მიღწევისთვის. აღნიშნული მიდგომა თანხვედრაშია კოლეჯის მისიასა და სტრატეგიულ მიმართულებებთან.

ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

2. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით**

სსიპ კოლეჯი “ლაკადა” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება კოლეჯის მიერ დამტკიცებული შესაბამისი მეთოდოლოგიის საფუძველზე. აღნიშნული პროცესი რეგულირდება დოკუმენტით „პროფესიულ სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ დამტკიცებული დირექტორის 2021 წლის 28 ოქტომბრის #04/79 ბრძანებით, რომელიც ადგენს როგორც

კრიტერიუმებს, ისე გადაწყვეტილების მიღების ეტაპებს. მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ რესურსებსა და გარემოებებს, მათ შორის: სასწავლო გარემოს ტიპსა და გამტარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, პრაქტიკის კომპონენტის ხელმისაწვდომობას, პროგრამის ხანგრძლივობასა და სასწავლო გეგმის სპეციფიკას, აგრეთვე პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დადგენისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასწავლო სივრცეების რეალურ შესაძლებლობებს. პრაქტიკული კომპონენტის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა დამატებით ეფუძნება პრაქტიკის ობიექტების ხელმისაწვდომობასა და მათ მიერ განსაზღვრული სტუდენტთა მიღების შესაძლებლობებს, რაც ხელშეკრულებებით არის დადასტურებული. დადგენილი წესის შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა თითოეულ მიღებაზე მტკიცდება კოლეჯის დირექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების წარდგინების საფუძველზე. აღნიშნული პრაქტიკა ქმნის სტუდენტთა რაოდენობის რეალისტური დაგეგმვის შესაძლებლობას და უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების პროცესის ორგანიზებულობასა და სტაბილურობას.

ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება მკაფიოდ დადგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით და პრაქტიკაში ხორციელდება იმგვარად, რომ გათვალისწინებულია როგორც სასწავლო გარემოს გამტარიანობა, ისე პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა (ორ ცვლაში);
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა (ორ ცვლაში);
- C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა (თუ სტუდენტებს აქვთ ინდივიდუალური სამუშაო ადგილები) ან C სასწავლო გარემოს ფართი (თუ პროფესიულ სტუდენტს არ აქვს ინდივიდუალური სამუშაო გარემო) ან პროგრამის განმახორციელებელ სასწავლო საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა ან რამდენიმე საწარმოს შემთხვევაში - ადგილების ჯამი (ორ ცვლაში);
- პრაქტიკის კომპონენტის არსებობის შემთხვევაში - პრაქტიკის ობიექტის ხელმისაწვდომობა (ხელშეკრულებით დადასტურებული) და პროფესიულ სტუდენტთა განსაზღვრული რაოდენობის მომსახურების შესაძლებლობები; კვოტის განსაზღვრის მნიშვნელოვანი ფაქტორია პროგრამით განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა. პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს უფლება სწავლება განახორციელოს სხვადასხვა ცვლაში, შრომის კოდექსის მოთხოვნების დაცვით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის, ადგილზე ვიზუალური დათვალიერებისა და ადმინისტრაციასთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ "სადურგლო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია მოქმედი მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება კოლეჯის მიერ წარმოდგენილ დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ „სადურგლო საქმის“ პროგრამისთვის განსაზღვრული 30 პროფესიული სტუდენტი წარმოადგენს დასაშვებ და რეალისტურ ზღვრულ რაოდენობას.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "სადურგლო საქმე“ მოდულების განხორციელებისათვის დამტკიცებული აქვს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური

აღჭურვილობა და რესურსების სია, რომლებიც უზრუნველყოფს მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებულია მოდულების განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი, რომელთა შინაარსი შესაბამისობაშია შესაბამისი მოდულის სწავლის შედეგებთან.

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სადურგლო საქმე“ არ მოიცავს არჩევით მოდულს.

ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

კოლეჯი “ლაკადაში” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების პროცედურა რეგულირდება კოლეჯის წესდებითა და დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 06 დეკემბრის № 04/60 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიით“, რომლის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე და მათ ცვლილებებზე პასუხისმგებელი პირი არის დაწესებულების დირექტორი. „სადურგლო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,,ლაკადას“ დირექტორის მიერ 31.03.2026 წლის N04/19 ბრძანებით, პროგრამა ეფუძნება საგანმანათლებლო სტანდარტს „სადურგლო საქმე“. ექსპერთა ჯგუფი გაეცნო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ ჯგუფის მუშაობის პროცესის ამსახველ დოკუმენტაციას. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის დამტკიცების პროცედურა სრულად შეესაბამება რეგულაციებით განსაზღვრულ უფლებამოსილებასა და გადაწყვეტილების მიღების ფორმატს, თუმცა დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება. პროცესი არის ფორმალურად გამართული, გამჭვირვალე და უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცდეს შესაბამისი ორგანოს მიერ, სათანადო დასაბუთებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე.

ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ, დოკუმენტაციის შესწავლისა და ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, სამუშაო ჯგუფის საქმიანობის დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოდგენილია. პროცესის დოკუმენტური გამართულობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დაწყებამდე სამუშაო ჯგუფის შექმნა ფორმალიზდეს დირექტორის შესაბამისი ბრძანებით.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ზუსტად ასახავს პროგრამის შინაარსობრივ მიმართულებას და სრულ შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან. პროგრამის სტრუქტურა აგებულია ისე, რომ ეტაპობრივად ფარავს პროფესიისთვის აუცილებელ ყველა ძირითად კომპონენტს. პროგრამა მოიცავს შემდეგ მოდულებს:

- ინფორმაციული წიგნიერება;

- ინგლისური ენა
- მეწარმეობა
- გაცნობითი პრაქტიკა-სადურგლო საქმე
- ხაზვა- სადურგლო საქმე
- ავეჯის კონსტრუირებისათვის ნახაზის შესრულება
- ხისა და საინჟინრო მერქნული მასალებისაგან ავეჯის დამზადება
- ხის კარ-ფანჯრებისა და კიბის დამზადება
- იატაკის მოწყობა
- ხის მსუბუქი კონსტრუქციის დამზადება
- ხის ნაკეთობათა შეკეთება
- პრაქტიკული პროექტი - სადურგლო საქმე

მოდულების შინაარსი და მათთან დაკავშირებული სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ საქმიანობას და სრულად მოიცავს შესაბამის სფეროში დასაქმებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება არის შინაარსობრივად გამართლებული, ზუსტი და არ ქმნის შეცდომაში შემყვან წარმოდგენას პროგრამის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებით.

ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სადურგლო საქმე“ შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების სრული დაცვით. პროგრამა შემუშავებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ „მიზანშეწონილობის არგუმენტირების ცხრილი“ იგზავნება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში განსახილველად. კანონით დადგენილი და კოლეჯის შიდა რეგულაციით განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში კოლეჯი იწყებს მუშაობას ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებაზე. პროგრამის შემუშავების პროცესს კოორდინაციას უწევს კოლეჯის დირექტორის მოადგილე. ჯგუფის წევრები შეირჩევა პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე და მტკიცდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - დირექტორის ბრძანებით. სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული ნებისმიერი ტიპის საგანმანათლებლო პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის დირექტორს და მტკიცდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - დირექტორის ბრძანებით. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების დეტალური აღწერა, შეფასების მიმართულებები, დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. მოდულების ბლოკში ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად.

შესაბამისად, ქართული ენის მოდულების გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე გამოცდის ან/და ტესტირების ჩაბარების გზით კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. აღნიშნული პირებისათვის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით („ქართული ენა A2" და „ქართული ენა" B1 მოდულები).

პროგრამის შემუშავების ეტაპზე გათვალისწინებული იქნა შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, დამსაქმებელთა საჭიროებები და დარგის განვითარების ტენდენციები, ამავე დროს, განსაზღვრულია პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა კოლეჯის მიერ დამტკიცებული პროფესიული სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხიან განხორციელებასა და რესურსების ადეკვატურ განაწილებას.

ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სადურგლო საქმე";
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით;
- კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები,
- მიზანშეწონილობის არგუმენტირებული ცხრილი;
- სამინისტროს თანხმობა პროგრამის დამატების თაობაზე;
- პროფესიულ სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „ლაკადას" წესდება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „სადურგლო საქმე" პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის დასაბუთება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

კოლეჯი "ლაკადაში" „სადურგლო საქმის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება კოლეჯის შესაბამის სასწავლო სივრცეებში, სადაც უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური და საგანმანათლებლო გარემო. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია. სწავლებისათვის დაწესებულებას გააჩნია:

<u>წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ N2 - სასწავლო გარემო A</u>:

- პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) - 1 ც;
- პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი - 1ც;
- პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) - 15 ც;
- დემონსტრირების საშუალება - 1ც;
- დაფა - 1 ც

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ.ჯვარი, ყაზბეგის ქ N2 - სასწავლო გარემო B:

- პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (და სკამი) - 1 ც;
- პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი - 1ც;
- პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) - 15 ც;
- პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი (მაგიდა და სკამი) - 15 ც;
- დემონსტრირების საშუალება - 1ც;
- დაფა - 1 ც

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭალეს ფოცხოეჩერის დასახლება - სასწავლო გარემო C:

- ასაზომი მექანიკური ხელსაწყო /სანტიმეტრი
- (არანაკლებ 10 მ.)
- სახაზავი სხვადასხვა ზომის
- ფარგალი, მეტალის სათადარიგო ნაწილებით
- სადემონსტრაციო დაფა
- დემონსტრირების ციფრული საშუალებები, პროექტორი
- კომპიუტერი გრაფიკული პროგრამებით (მონიტორი პროცესორით) მასწავლებლისთვის
- კომპიუტერი გრაფიკული პროგრამებით (მონიტორი პროცესორით) სტუდენტისათვის
- სამუშაო მაგიდა მაკეტირებისთვის
- სახაზავი დაფა რეიშინით
- ფარგლის ნაკრები
- ქაღალდის საჭრელი დანა
- ჩაქუჩი (პატარა)
- ბრტყელტუჩა (პატარა)
- მკვნეტარა
- მაკრატელი
- ელექტრო ბეწვახერხი
- რკინის სახაზავი სხვადასხვა ზომის
- გონიო
- სილიკონის ელექტრო წებოს პისტოლეტი
- კალკულატორი
- ფუნჯები ზედაპირის შეღებვისთვის
- მინის საჭრელი ალმასი
- დაფა არანაკლებ 0,6 X0,9მ
- მრგვალხერხა ფორმატული ჭრის ჩარხი
- საჯიფთი (საშალაშინე ჩარხი)
- სარეისმუსე ჩარხი
- ლენტსახერხი ჩარხი
- ლენტსახეხი ჩარხი
- საფრეზი ჩარხი
- სატორსი ჩარხი
- საბურღი ჩარხი
- ხის სახარატო ჩარხი საკოპირე მოწყობილობით
- მტვრისა და ნახერხის გამწოვი დანადგარები ყველა ჩარხისათვის
- ფორმატული ჭრის ცილკულარური ხერხი
- მულტი საბურღი ჩარხი
- პროფილების შემკვრელი საფრეზი ჩარხი
- ელექტრო სალესი
- მზომი (რულეტის ტიპის ან ხის გასაშლელი)
- ხელის ხერხი
- ხელის ელექტრო საბურღი
- ხელის სალაშინი
- ბურღების ნაკრები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ელექტრო ფრეზი
- ჩაქუჩი(დიდი)
- საჭრისების ნაკრები
- შპატელი
- უხეში ფუნჯი
- სახრახნისი
- ჭახრაკი
- გირაგი
- სამაგიდო ცირკულარული ხერხი (პატარა ზომის)
- ჩაქუჩი (რეზინის)
- მარწუხი
- მოსახვეწი აპარატი
- მრგვალხერხა ფორმატული ჭრის ჩარხი
- ბეწვახერხიანი ჩარხი აჟურული ჭრისათვის
- ხელის ელექტრო ბეწვა ხერხი (ლობზიკი)
- ხელის ელექტრო ფრეზი
- ხის ჩაქუჩი
- პირდაპირი ბრტყელპირიანი სატეხები
- ხის მხატვრული დამუშავებისთვის საჭირო ინსტრუმენტები
- სალესი ქვა
- სამუშაო დაზგა
- ავეჯის სტეპლერი
- ანტისტეპლერი
- სამშენებლო ელ. ფენი
- პროფილების შემკვრელი საფრეზი ჩარხი
- კომბაინი (ქსელური პრინტერი სკანერისა და ასლგადამღების ფუნქციით)
- დაფა;
- პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთი (პირველადი გადაუდებელი დახმარებისათვის ყველა საჭირო მედიკამენტით)
- ტენმზომი
- თარაზო
- შვეული

პროფესიულ საგანმამათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება 30 პროფესიული სტუდენტით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროგრამის ხანგძლივობის (61 სასწავლო კვირა), სასწავლო გარემოს, აღჭურვილობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის გათვალისწინებით შესაძლებელია 2 პარალელური ჯგუფის მიღება სხვადასხვა ცვლაში. პრაქტიკის წარმართვაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებისა და სასწავლო გარემოს დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯის მატერიალური ბაზა, რესურსების ხელმისაწვდომობა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით, ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა ყველა ის აღჭურვილობა და ინვენტარი, რომელიც საჭიროა პროგრამის ხარისხიანი განხორციელებისათვის. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით „სადურგლო საქმე“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური და სასწავლო რესურსები არის რეალისტურად დაგეგმილი, ფაქტობრივად ხელმისაწვდომი და სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებსა და შინაარსთან.

რადგან კოლეჯის სხვა მისამართზე მდებარეობს „სადურგლო საქმის“ სასწავლო სახელოსნო, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ტრანსპორტირებას. უკვე გაფორმებულია 2026 წლის მაისის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N61 (კონსოლიდებური ტენდერი CON26000178) ხელშეკრულება შპს „ჯი-თი-მოტორსთან“, ასევე კომპანიამ მოითხოვა საგარანტიო წერილი, რაც დაწესებულების მხრიდან დადასტურებულია- საავანსო გადახდის 2026 წლის 10 ივნისის საბანკო გარანტია ADV1135269-26.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს 18/03/2026 წლის MES 1 26 0000004/14ბრძანებით დამტკიცებული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც დაწესებულებას არ გააჩნდა პროგრამისთვის აღჭურვილობის უმნიშვნელო ნაწილი. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში კოლეჯმა წარმოადგინა პროგრამისთვის საჭირო ყველა ტიპის აღჭურვილობა და მეტწილი შესაბამისობა ექსპერტთა შეხედულებით შეფასდა სრული შესაბამისობით.

2.2.1.1 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

კოლეჯში „სადურგლო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის წარმოდგენილია წინასწარ გაფორმებული ხელშეკრულებები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ და სტაბილურ განხორციელებას. პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს ჰყავს ჯამში 24 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან:

- 6 პროფესიული განათლების მასწავლებელი ახორციელებს ზოგად მოდულებს;
- 4 პროფესიული განათლების მასწავლებელი პასუხისმგებელია პროგრამის პროფესიულ მოდულებზე.

ასეთი სტრუქტურა პროგრამის შინაარსობრივ მრავალფეროვნებას აერთიანებს და უზრუნველყოფს როგორც ზოგადი კომპეტენციების, ისე ლადურგლო საქმეში სპეციფიკური უნარების სრულფასოვან მიწოდებას. მოდულების მიხედვით კოლეჯს ჰყავს მოდულზე მინიმუმ ორი განმახორციელებელი მასწავლებელი, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს სრულფასოვნად ჩაანაცვლებენ. ეს ქმნის პროგრამის უწყვეტობის გარანტიას. წარდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ, ყველა განმახორციელებელი მასწავლებლის დატვირთვა შეესაბამება „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს. კვირაში საერთო სამუშაო დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. განაწილება ოპტიმალურია და არ ქმნის გადატვირთვის ან პროცესის შეფერხების ალბათობას. პროგრამას დამატებული აქვს განმახორციელებელი პერსონალის სია, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას და პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, „სადურგლო საქმის“ პროგრამისათვის წარმოდგენილი განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და დატვირთვის განაწილება საკმარისია, რეალისტურია და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად, უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას.

2.2.1.2 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

ვიზიტის ფარგლებში პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებულმა გასაუბრებამ და მათი პირადი საქმეების შესწავლამ დაადასტურა, რომ კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლები სრულად აკმაყოფილებენ „სადურგლო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ კვალიფიკაციასა და პროფესიულ მოთხოვნებს. მასწავლებელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია პროგრამის პროფილის შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის: შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები; პროგრამის შესაბამის სფეროში სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები; წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

ფლობს როგორც თეორიული ცოდნის გადაცემის, ისე პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის აუცილებელ პროფესიულ კომპეტენციებს. დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლებს აქვთ პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება სადურგლო სფეროში, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს სასწავლო პროცესის პრაქტიკულ ორიენტაციას. გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელმა მასწავლებლებმა გაიარეს პროფესიული განვითარებისა და გადამზადების კურსები. აღნიშნული გადამზადების კურსები მნიშვნელოვნად აძლიერებს მასწავლებელთა პედაგოგიურ და პროფესიულ კომპეტენციებს და დადებითად აისახება მოდულების სწავლების ხარისხზე. დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, აქტიურად არიან ჩართული: მოდულების შემუშავებისა და საჭიროების შემთხვევაში მათი ადაპტირების პროცესში; სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში; მოდულების განხორციელების მიმდინარეობის მონიტორინგში. აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს, რომ პროგრამის შინაარსი ეფუძნება კოლეგიურ თანამშრომლობასა და პრაქტიკულ პროფესიულ გამოცდილებას. ყველა პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებელთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები, ხოლო მომდინარე მოდულის განმახორციელებლებთან შრომითი ხელშეკრულებები, რომლებშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული სამართლებრივად მოთხოვნილი ძირითადი პირობები, კონკრეტული მოდულები, სამუშაო ფუნქციები, პასუხისმგებლობები და სასწავლო დატვირთვა. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოცდილება, პროფესიული განვითარების ისტორია და სამუშაო დატვირთვის რაციონალური განაწილება სრულად უზრუნველყოფს „სადურგლო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიან, უწყვეტ და მდგრად განხორციელებას. მასწავლებელთა კომპეტენციები პირდაპირ უწყობს ხელს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.

2.2.1.3 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროგრამის ხელმძღვანელი არის პროგრამის შინაარსზე, ხარისხზე, განხორციელებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უძღვება პროგრამის შემუშავებასა და მისი განვითარების პროცესებს. პროგრამის ხელმძღვანელს უნდა გააჩნდეს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს სფეროს შესაბამისი განათლებით/პრაქტიკული გამოცდილებით. ვიზიტის დროს გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მოხდა მასთან გასაუბრება. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის ხელმძღვანელობა განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტით, ხოლო ფუნქცია-მოვალეობები სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. ინტერვიურების პროცესში ნათლად გამოჩნდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და მუშაობს პროგრამის განვითარების მიმართულებით. მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, პარტნიორი ორგანიზაციების მოძიებაში, პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევასა და მატერიალური რესურსების მობილიზებაში, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში.

2.2.1.4. სტანდარტი დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა კოლეჯის ბიბლიოთეკისა და დამატებითი სასწავლო სივრცეების დათვალიერება, ასევე შეამოწმა „სადურგლო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსები. ბიბლიოთეკართან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე არსებული მდგომარეობა შეფასდა როგორც სანდო და მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი. პროგრამის მოდულებით განსაზღვრული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. კერძოდ, კოლეჯის ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია მოდულების მიხედვით შერჩეული ბეჭდური სასწავლო მასალები, რომლებიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების დაცვით და თავისუფლად ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ისე პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლებისთვის. ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია ბიბლიოთეკაში, ასევე კომპიუტერებში. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საჭირო მასალები მიიღონ ელექტრონული ფოსტის საშუალებით ან შესაბამისი ამონარიდები ბეჭდური სახით. კოლეჯის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რაც უზრუნველყოფს მომსახურების პირობების საჯაროობას, რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას და უსაფრთხო, ორგანიზებულ სასწავლო გარემოს შექმნას.

დაწესებულები სარგებლობს საბიბლიოთეკო პროგრამით OpenBiblio, აქვს რესურსებზე წვდომა ორგანიზებულია გამჭვირვალედ როგორც ბიბლიოთეკაში, ისე სასწავლო გარემოებსა და ელექტრონული რესურსების მეშვეობით რაც დადებითად აისახება სასწავლო პროცესის ეფექტიანობაზე.

2.2.1.5 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კოლეჯის სასწავლო პირობები, რომლებიც გამოიყენება „სადურგლო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის. სასწავლო სივრცეების დათვალიერებისა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურულ პირობებს, მათ შორის ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნას. კოლეჯის იმ სასწავლო კორპუსში, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცეები, უზრუნველყოფილია მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი ხელმისაწვდომობა. კერძოდ, შენობა ლიფტით, რაც უზრუნველყოფს შეზღუდული მობილობის მქონე პირების დამოუკიდებელ გადაადგილებას. ასევე, კოლეჯიში ფუნქციონირებს ადაპტირებული სველი წერტილები, რომლებიც სრულად შეესაბამება უნივერსალური დიზაინის პრინციპებს. A და B ტიპის სასწავლო სივრცეებში შესაძლებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს ორგანიზება, მათ შორის მოსარგები სამუშაო ადგილებისა და სივრცის მოქნილი განლაგების საშუალებით.

კოლეჯის ბიბლიოთეკისა და საინფორმაციო რესურსების გამოყენება ხელმისაწვდომია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვისაც. ბიბლიოთეკის სივრცეებში უზრუნველყოფილია მობილობის შეზღუდვის მქონე პირების თავისუფალი გადაადგილება, ხოლო კომპიუტერული კლასები იძლევა სამუშაო ადგილის ადაპტირების ან საჭიროების შემთხვევაში მისი მოდიფიცირების შესაძლებლობას. ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯის მიერ უზრუნველყოფილი ინფრასტრუქტურა და სასწავლო სივრცეების ადაპტირება სრულ თანხვედრაშია პროფესიული განათლების სტანდარტის მოთხოვნებთან. „სადურგლო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს უსაფრთხო, ხელმისაწვდომ და ინკლუზიურ სასწავლო გარემოს, რაც ყველა პროფესიულ სტუდენტს, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს, აძლევს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

2.2.1.6 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი „სადურგლო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. დოკუმენტის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ბიუჯეტი ჩამოყალიბებულია გამჭვირვალე, ეკონომიკურად გონივრული და სტანდარტებთან შესაბამისი პრინციპებით. საპროგნოზო ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი დაფუძნებულია სწავლის საფასურზე, რომლის მოცულობა განსაზღვრულია კოლეჯის ფინანსური პოლიტიკის შესაბამისად. შემოსავლის პროგნოზი ეფუძნება ზღვრული რაოდენობისა და მინიმალური დასაშვები ჯგუფის ანალიზს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მოიცავს პროგრამის სრულფასოვანი განხორციელებისთვის აუცილებელ ყველა პოზიციას, მათ შორის:

- მასწავლებლის შრომის ანაზღაურება (ვაუჩერული დაფინანსებიდან);
- სასაწვლო მიანით გაწეული ხარჯი (ვაუჩერული დაფინანსებიდან);
- ადმინისტრირების ხარჯი (პროგრამული დაფინანსებიადნ);

ხარჯების ასეთი სტრუქტურა ასახავს პროგრამის განხორციელების რეალურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტობას. ანალიზის მიხედვით, „სადურგლო საქმის“ პროგრამის რენტაბელობის ზღვარად მიჩნეულია მინიმუმ 8 პროფესიული სტუდენტი, რომლის პირობებშიც პროგრამა ოპერატიულ ხარჯებს სრულად ფარავს და შესაძლებელია მისი მიმდინარეობა ხარისხის ზიანის გარეშე. ბიუჯეტი ასახავს კოლეჯის სისტემურ მიდგომას ფინანსურ მართვაში და ქმნის საფუძველს პროგრამის ხარისხიანი და უწყვეტი რეალიზაციისთვის.

2.2.1.7 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სტრუქტურული ერთეულები, სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ვებ გვერდი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები.
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით სადურგლო საქმე“,
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „სადურგლო საქმე“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის დასაბუთება;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა

,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების“ წესის მე-8 მუხლის მიხედვით, სსიპ კოლეჯ „ლაკადაში“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი მიზნად ისახავს ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებულ პროფესიული პროგრამების შეთავაზების გზით, საქართველოში პროფესიული განათლების გაუმჯობესება-განვითარებას და მაღალი საერთაშორისო სტანდარტის დაწესებას.

დადგენილი წესების შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ეფუძნება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს, მათ შორის: შრომის ბაზრის კვლევის შედეგების რეგულარულ ანალიზს; დაინტერესებული მხარეების — პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, დამსაქმებლებისა და პარტნიორი ორგანიზაციების უკუკავშირს; ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებას; ასევე პროგრამის შინაარსისა და მისაღწევი შედეგების პერიოდულ გადახედვას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამების აქტუალობისა და შესაბამისობის სისტემურ შემოწმებას როგორც შიდა, ისე გარე მოთხოვნებთან მიმართებით.

ამასთან, დაწესებულებაში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია დეტალურად განსაზღვრავს პროგრამების შიდა შეფასების პროცედურებს, შეფასების განხორციელების პერიოდულობას, ცვლილებების შეტანის წესებსა და საფუძვლებს, ასევე პროცესში ჩართული პასუხისმგებელი პირების ფუნქციებს. მეთოდოლოგიაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის სრული ლოგიკა რაც უზრუნველყოფს პროგრამების უწყვეტ მონიტორინგს და დაგეგმილი შედეგების მიღწევის კონტროლს.

ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ კოლეჯის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემურად ახორციელებს ხარისხის მართვის ფუნქციებს. სამსახური ატარებს პერიოდულ კვლევებს, იყენებს წინასწარ შემუშავებულ და დამტკიცებულ კითხვარებს, აანალიზებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლების შეფასებებს და ამზადებს რეკომენდაციებს პროგრამების გაუმჯობესების მიზნით. კვლევების შედეგები გამოიყენება როგორც მიმდინარე სასწავლო პროცესის დახვეწისა და ოპტიმიზაციისთვის, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების დაგეგმვისას.

2.3.1.1 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციები და პრაქტიკა ქმნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების ეფექტიან და მდგრად სისტემას, რაც ხელს უწყობს პროგრამების ხარისხის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

დაწესებულების მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები.

2024 წლის 6 დეკემბრის N04-60 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „ლაკადა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის საფუძველზე პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე. 2024 წლის 6 დეკემბრის N04-60 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „ლაკადა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის მიხედვით პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია პროგრამის ხელმძღვანელს, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელს, პარტნიორ ორგანიზაციას და სხვ. პროგრამაში ცვლილების შეტანა ხორციელდება წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურებით. დაწესებულება გაანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები (პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა) განხორციელებულია აღნიშნული წესის დაცვით, რაც დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით.

2.3.1.2 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2024 წლის 6 დეკემბრის ბრძანება N 04/60 სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი;
- 2025 წლის 20 თებერვლის N 04/06 სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ ხარისხისუზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დამტკიცების შესახებ;
- ინტერვიუ;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შესწავლილი სასწავლო გეგმა წარმოდგენილია მკაფიო, თანმიმდევრულ და ლოგიკურად გააზრებულ სტრუქტურად. დადგინდა, რომ გეგმა სრულად შეესაბამება სამუშაო სტანდარტის მოთხოვნებს და შეიცავს მის მიერ რეკომენდირებულ უმთავრეს ელემენტებს. „სადურგლო საქმის“ პროგრამის სასწავლო გეგმა ასახავს მოდულების თანმიმდევრობას, განსაზღვრავს თითოეული მოდულის განხორციელების კვირობრივ განრიგს და უზრუნველყოფს საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების მკაფიო გაწერას. გეგმა უზრუნველყოფს სწავლების პროცესის თანმიმდევრულ განვითარებას. სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მიდგომას იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე ჩაირიცხება არაქართულენოვანი სტუდენტები. მათთვის გათვალისწინებულია ქართული ენის შემავსებელი მოდული. ექსპერტთა შეფასებით, „სადურგლო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას. გეგმა არის მკაფიოდ სტრუქტურირებული. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო გეგმის შესაბამისად, თუმცა გვხვდება ტექნიკური უზუსტობები.

2.4.1.1 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად, თუმცა გაიცა განმავითარებელი შეფასება, რომ სასწავლო გეგმაში გამოსწორდეს ტექნიკური უზუსტობები.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ კოლეჯი სრულად იცავს მოქმედ რეგულაციებს და პრაქტიკაში იყენებს მოქნილ, სტუდენტზე მორგებულ მიდგომებს. განხორციელებული ვიზიტისას გამოიკვეთა რამდენიმე ტიპური პრინციპი: თუ პროფესიული სტუდენტი დასაქმებულია პროგრამის პროფილის მიხედვით, კოლეჯი ცდილობს, სასწავლო ცხრილი და შეფასების პროცესები ისე დაგეგმოს, რომ მათი სამუშაო გრაფიკი მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული. ეს პრაქტიკა ხელს უწყობს სტუდენტების წარმატებულ ჩართულობას და უზრუნველყოფს სწავლის პროცესის შეწყობას ყოველგვარი დამატებითი ბიუროკრატიული სირთულეების გარეშე. დაწესებულებაში მოქმედი პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემა ადგენს:

- შეფასების კრიტერიუმების წინასწარ გაცნობას;
- შეფასების პროცესის ორგანიზებულობას;
- ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას.

ფუნქციონირებს როგორც მიმდინარე - განმავითარებელი, ისე საბოლოო, განმსაზღვრელი შეფასების მექანიზმები, ხოლო შეფასების ცვლილების ან გადავადების შემთხვევები ხდება განსაზღვრული წესის დაცვით. აღნიშნული მექანიზმები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან და სტუდენტთა წარმატებაზე ორიენტირებულ მიდგომად შეიძლება ჩაითვალოს.

2.4.1.2 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

კოლეჯის უზრუნველყოფს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის“სადურგლო საქმის“ სწავლების პროცესში ინტეგრირებული იყოს სწავლების თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომები და სადურგლო საქმის დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიები. კოლეჯში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ქმნის შესაძლებლობას, რომ სწავლება განხორციელდეს რეალურ სამუშაო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში, რაც ხელს უწყობს პროფესიული კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის ფარგლებში აქტიურად გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქეის-სტადიები, სიტუაციური ანალიზი, პროფესიული როლების იმიტაცია, დემონსტრაციებისა და პრაქტიკული დავალებების კომბინაცია, თანასწორებს შორის სწავლების (peer-learning) ელემენტები და ინტერაქტიური ჯგუფური მუშაობა. აღნიშნული მიდგომები სტუდენტებს საშუალებას აძლევს რეალური პროცესების ანალიზისა და პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღების უნარები განივითარონ. პრაქტიკული უნარების გამოსამუშავებლად გამოყენებულია შესაბამისი სასწავლო მასალები, ინვენტარი და ტექნიკური საშუალებები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების ეტაპობრივ მომზადებას რეალური სამუშაო გარემოსთვის. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამაში გამოსაყენებელი სწავლების მეთოდები არის თანამედროვე, დარგის სპეციფიკასთან თავსებადი და პროფესიული სტუდენტების პრაქტიკულ განვითარებაზე ორიენტირებული. სწავლების პროცესში ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს მოდერნიზაციას, ხოლო აქტიური სწავლების ფორმები ზრდის სტუდენტთა ჩართულობას და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯში „სადურგლო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და სატრანსპორტო-საექსპედიტორო დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. აღნიშნული პრაქტიკა სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ საჭირო კომპეტენციების ეფექტიან და პრაქტიკულად ორიენტირებულ განვითარებას.

2.4.1.3 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

დაწესებულების რეგულაციებით გაწერილია სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურები, რომელიც მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე და ითვალისწინებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. „სასწავლო პროცესის მრეგულირებელი წესით“ განსაზღვრულია ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების წესი. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს თუ: პროფესიულ სტუდენტს დადგენილი აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, პროფესიული სტუდენტი ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო, დროებით საჭიროებს სპეციალური საგანმანათლებლო რეჟიმს, პროფესიული სტუდენტი სარგებლობს მობილობით, ფორმალური განათლების ნაწილობრივი აღიარების/დადასტურების შემთხვევაში ან სხვა შემთხვევები, როდესაც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება დგება პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვის გათვალისწინებით. ინკლუზიური სპეციალური განათლების სპეციალისტი პერიოდულად აკვირდება სტუდენტთა სასწავლო პროცესში ჩართულობას, პროგრამის განმახორციელებელი პირებისა და დაკვირვების შედეგების საფუძველზე ავსებს სპეციალურ დაკვირვების ფორმებს. ინდ/გეგმების შედგენის საჭიროების შემთხვევაში დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფები, რომელშიც შედის სასწავლო პროცესის თანამშრომლები, პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებელი პირები, ასევე საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა მოწვეულ იქნას სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტი, რომლებიც სსსმ/შშმ პირის კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. სამუშაო ჯგუფის მიერ ხდება მოდულის/საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტის მოდიფიკაცია ან აკომოდაცია.

2.4.1.4 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სადურგლო საქმე“ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს და დარგის ტექნოლოგიებს. სწავლების შედეგების მიღწევა დაგეგმილია მხოლოდ დაწესებულების შენობაში. პროგრამის განხორციელება დაგეგმილია იმიტირებულ სასწავლო გარემოში, რომელიც ისეა აღჭურვილი, რომ სტუდენტი ყველა სწავლის შედეგის შესწავლას შეძლებს კოლეჯის ბაზაზე.

2.4.1.5 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

პროგრამით განსაზღვრული მოდულების სწავლებისთვის გამოიყენება დაწესებულების აუდიტორიები, სადაც უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო. პროგრამა საჭიროებს დამატებით უსაფრთხოების მოთხოვნებს, რადგან საქმე გვაქვს მაღალი საფრთხის შემცველ ინვენტართან. სასწავლო სახელოსნოში - C გარემოში განთავსებულ თითოეულ აღშირვილობას დაკრული აქვს ამავე ხელსაწყოს გამოყენების სპეციფიკით გათვალისწინებული უსაფრთხოების სტიკერები, ასევე ამავე გარემოში გამოკრულია სახელოსნოში მოქცევის უსაფრთხოების წესები, რომლის გაცნობასაც სტუდენტი

ადასტურებს ხელმოწერით. რადგან მაღალი რისკის შემცველია აღჭურვილობა და ზოგადად არსებობს დურგლების დაზიანების მაგალითები, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ ყოველ ჩარხთან ახლოს განთავსდეს დიდად ამობეჭდილი უსაფრთხოების ნიშნები, რათა სწავლების დროს სტუდენტი მეტი ყურადღებით იყოს. პროფესიული განათლების მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ჩარხებთან მუშაობის რისკები. ხის დასამუშავებელ სასწავლო საამქროებში, ჩარხებთან ახლოს, სტუდენტებისათვის გამოკრული უნდა იყოს ოთხი ძირითადი კატეგორიის უსაფრთხოების ნიშნები, რომლებიც მკაცრად რეგულირდება საქართველოს მთავრობის №457 დადგენილებით სამუშაო სივრცის უსაფრთხოების შესახებ. ხის დამუშავების პროცესი დაკავშირებულია მჭრელ პირებთან, მფრინავ ნაწილაკებთან (ნახერხი), ხმაურსა და ელექტროენერგიასთან, რის გამოც ნიშნების არსებობა კრიტიკულია.

2.4.1.6 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, თითოეული ჩარხისთვის ხელმისაწვდომია უსაფრთხოების წესები. <u>ამასთან, უსაფრთხოების ინფორმაციის უკეთ აღქმისა და ხილვადობის უზრუნველსაყოფად, სასურველია შესაბამისი უსაფრთხოების ნიშნები უფრო თვალსაჩინო ფორმატში განთავსდეს შესაბამის ჩარხთან ახლოს.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სადურგლოო საქმე“ სასწავლო გეგმა;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სადურგლოო საქმე“;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი,
- პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფადსებისა და განვითარების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- პროფესიულ სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

შეფასების სისტემის გამართული და ეფექტიანი მუშაობა რეგულირდება დაწესებულების დირექტორის 2025 წლის N 04/07 (ცვლილება 2026 წლის N 04/18 ბრძანებით) ბრძანებით დამტკიცებული „შიდა მარეგულირებელი წესი“. ამავე წესის მუხლი 15-ში გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების

სისტემა/სტუდენტის შეფასების წესი. დაწესებულებაში შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ა) ვალიდურობას; ბ) სანდოობას; გ) გამჭვირვალობას; დ) სამართლიანობას; ე) ობიექტურობას. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა, რაოდენობა და ვადები, ინფორმაცია გამოყენებული ინსტრუმენტის შესახებ. მარეგულირებელი წესი მოიცავს ნამუშევრის გასწორებისა და შეფასების ვადებს. შეფასების სისტემა ეფუძნება სანდოობის, ვალიდურობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს.

2.4.2.1 სტანდარტი დამაკმაყოფილებელია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების თანახმად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმებს. შეფასება შესაფასებელი პირის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ფლობის დადასტურების პროცესია. მნიშვნელობა არ აქვს, სად ხდება შეფასება, ან რა ფორმით არის ის წარმოდგენილი, შეფასება ყოველთვის მოიცავს პროცესზე დაკვირვებას, შედეგის (პროდუქტის) შეფასებას და გამოკითხვას. შეფასების პროცესში შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შემოწმება არის მექანიზმი იმის შესაფასებლად, ხორციელდება თუ არა პროფესიული სტუდენტის შეფასება სტანდარტის მიხედვით, მოწმდება მიღებული გადაწყვეტილებების სისწორე და გაკეთებული შეფასებები ობიექტურობა. ამ მიზნით ყოველწლიურად, წლის დასაწყისში დირექტორის ინდივიდუალურ- სამართლებრივი აქტით მტკიცდება ვერიფიკაციის გეგმა და ვერიფიკაციის ჯგუფი. ჯგუფს საერთო ხელმძღვანელობას უწევს ხარისხის მართვის მენეჯერი. ვერიფიკაციის ჯგუფში შედიან ადმინისტრაციის წარმომადგენლები, დარგის მასწავლებლები და სპეციალისტები. ჯგუფის წევრები ვალდებული არიან 6 თვეში ერთხელ წარუდგინონ დასკვნა ვერიფიკაციის პროცესის ხელმძღვანელს მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შევიდეს გეგმაში ცვლილება. დარგის სპეციალისტი, რომელმაც შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა, ვერ შეამოწმებს იგივე ინსტრუმენტს. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება: შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია/ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის დასკვნა და შედეგების განხილვა ვერიფიკატორების მიერ შემუშავებული დასკვნების განხილვა ხორციელდება ჩართულ მხარეებთან, რომლებიც ერთობლივად მუშაობენ პრობლემების აღმოფხვრის გზებზე და ახორციელებენ შემდგომ ნაბიჯებს შეფასების სისტემის განვითარების მიზნით. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია იდენტიფიცირებული შეუსაბამობა გაიწეროს სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ აქტივობად, ან უშუალოდ იდენტიფიცირებული შეუსაბამობიდან გამომდინარე, ცალკე შემუშავდეს გაუმჯობესების უზრუნველყოფის გეგმა. ვერიფიკატორების დასკვნების განხილვის შემდეგ, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ მუშავდება ერთიანი ვერიფიკაციის ანგარიში, რომელიც წარედგინება დირექტორს. ხარისხის მენეჯერმა წარმოადგინა აღნიშნული აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ვერიფიკაციის კითხვარები, სამუშაო ოქმები და ანალიზის დოკუმენტი. ვერიფიკაციის დროს გამოკვეთილი საკითხების შესაბამისად ხდება შეფასების სისტემის გაუმჯობესება. ვერიფიკაციის პროცესის შემოწმება არ შემოიფარგლა მხოლოდ დოკუმენტაციის გაცნობით. ასევე გადამოწმდა მტკიცებულებები და შედგა გასაუბრება სტუდენტებთან, განმახორციელებლებთან და ვერიფიკატორებთან. ვერიფიკაციის პროცესის ანალიზის შედეგად დგინდება, რომ კოლეჯი ახორციელებს გამჭვირვალე, ობიექტურ და სანდო შეფასებას.

2.4.2.2 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; ხოლო შეფასების უწყისებს უვადოდ; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულის კრედიტების ათვისება და შედეგების დადასტურება წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველს. რაც აისახება ბრძანების თანახმად შექმნილი საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის ოქმში, რომელიც კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილების საფუძველია. ამგვარი პროცედურები უზრუნველყოფს, რომ ყველა საჭირო მონაცემი და მტკიცებულება იყოს სათანადოდ დაფიქსირებული და დაცული, რომ კოლეჯი სრულად დაემორჩილოს კანონისა და შიდა რეგულაციების მოთხოვნებს.

4.2.3 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

პროფესიული სტუდენტის შეფასებისას, გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების მიზნით, ხოლო მიმდინარე და შუალედური შეფასებისას გამოიყენება განმავითარებელი შეფასება. რაც დასტურდება დაწესებულების დირექტორის 2025 წლის N 04/07 (ცვლილება 2026 წლის N 04/18 ბრძანებით) ბრძანებით დამტკიცებული „შიდა მარეგულირებელი წესით“ და ასევე კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით. პროფესიული მასწავლებლები პერიოდულად განიხილავენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების შედეგებს ინდივიდუალურ რეჟიმში პროფესიულ სტუდენტებთან, რომელიც გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის. პროფესიული სტუდენტის მხრიდან კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური კონსულტირების გზით, პროფესიული განათლების მასწავლებლი აცნობს თავის მოსაზრებებს და სტუდენტთან ერთად ეძებს გზებს სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. პიროვნული თავისებურებებიდან და ინტელექტუალუტი შესაძლებლობებიდან გამომდინარე განსხვავებულია მიდგომაც. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის შედეგად შესაძლებელია ინიცირდეს სწავლების ან/და შეფასების სისტემის გაუმჯობესების ინიციატივები.

2.4.2.4 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების დირექტორის 2025 წლის N 04/07 (ცვლილება 2026 წლის N 04/18 ბრძანებით) ბრძანებით დამტკიცებული „შიდა მარეგულირებელი წესი“
- ინტერვიურება კოლეჯის პერსონალთან და სტუდენტებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;**

დაწესებულებას, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭალეს ფოცხოეწერის დასახლებაში საკუთარ მფლობელობაში აქვს სახელოსნო, რომელიც გამოიყენება „სადურგლო საქმის“ პროგრამის მიზნებისათვის. აღნიშნული სახელოსნო შედგება სამი განყოფილებისაგან. მ.შ. ორი სასწავლო, ხოლო ერთი სათავსოდ და შენობის დაცვის მიზნით გამოიყენება. ამავე შენობაში მოწყობილია სანიტარული კვანძები. დაწესებულებამ წარმოადგინა ფლობის დოკუმენტი - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით: 47.12.32.070. მიწის საერთო ფართობია 5637 კვ.მ. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე დგას ერთი შენობა-ნაგებობა 190.61 კვ.მეტრი ფართით. მისამართზე მდებარე სახელოსნო აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. აქ ხორციელდებოდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „ხის მხარვრული დამუშავება“. არნიშნულ შენობაზე დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა N001864522 შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით.

სტანდარტი 5.1.1.1 დაკმაყოფილებულია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. ჯვარის ფოცხო ეწერის დასახლებაში, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;**

ფოცხოეწერის დასახლებაში კოლეჯის საკუთარ მფლობელობაში მყოფ საელხოსნოს გააჩნია ფოიე და ეზო, რომელიც ხელმისაწვდომის პროფესიული სტუდენტებისათვის.

3. **დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;**

ფოცხოეწერის მისამართზე არსებულ ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო და ჯანმრთელ სამუშაო და სასწავლო გარემოს. სანიტარულ-ჰიგიენური სტანდარტების დაცვა მოიცავს სივრცეების რეგულარულ დასუფთავებას, ვენტილაციისა და წყლის მარაგის უზრუნველყოფას, სანიტარული კვანძების გამართულ ფუნქციონირებას და ჰიგიენური მასალების ხელმისაწვდომობას. დაწესებულება ახორციელებს მუდმივ მონიტორინგს და საჭირო შემთხვევებში შესაბამის რეაგირებას, რათა ყველა სასწავლო და საერთო სარგებლობის სივრცე შეესაბამებოდეს ჯანდაცვის ნორმებსა და უსაფრთხოების სტანდარტებს. ეს ხელს უწყობს სტუდენტებისა და პერსონალის კომფორტულ და ჯანმრთელ გარემოში საქმიანობას. აღნიშნულ სასწავლო გარემოში დამონტაჟებულია გამწოვები და მტვრის შემგროვებელი აპარატურა.

სტანდარტი 5.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

4. **შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;**

შენობა-ნაგებობა არაა უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით, რადგან ფოცხოეწერის დასახლებაში არაა მიყვანილი აირი. თუმცა შენობა თბება კონდენციონერებით სტუდენტები ინტერვიურებისას ადასტურებდნენ, რომ ზამთრის პერიოდში შენობაში უზრუნველყოფილი იყო სითბო და კომფორტული სასწავლო გარემო.

სტანდარტი 5.1.1.4 დაკმაყოფილებულია, შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;

5. **დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;**

სსიპ კოლეჯ „ლაკადაში“ მოქმედებს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში შრომის უსაფრთხოების ზომების დაცვასდაწესებულებას აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის საშტატო ერთეული, თუმცა მოქმედ სპეციალისტის სერტიფიცირებას ვადა გაუვიდა, რაც ექსპერტთა მხრიდან დაფიქსირდა როგორც ხარვეზი. აღნიშნული სტანდარტის ფარგლებში გამოვლენილ საკითხთან დაკავშირებით სსიპ კოლეჯ „ლაკადას" დირექტორის 2026 წლის 13 ივლისის №02/25 ბრძანებით დაინიშნა სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, თუმცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის "საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" №99/ნ ბრძანების 38-ე მუხლის მეცხრე პუნქტის შესაბამისად "ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ დაწესებულების მიერ საავტორიზაციო განაცხადსა და/ან მასზე თანდართულ დოკუმენტებში განხორციელებული ცვლილებები ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ მიიღება მხედველობაში."

<u>სტანდარტი 5.1.1.5 ხარვეზია, არ მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, რაზეც ექსპერტთა მხრიდან დახარვეზდა.</u>

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;

სასწავლო-საწარმოო მასალა ნედლეულისა და სამეურნეო დანიშნულების მატერიალური ფასეულობების მოთხოვნის თაობაზე კოლეჯის დირექტორის სახელზე მზადდება სამსახურებრივი ბარათი. მატერიალური ფასეულობების მოთხოვნის ინიცირებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ კოლეჯის ადმინისტრაციული თანამშრომლები და პროფესიული მასწავლებლები. პსდ-ში შეუფერხებლად ხორციელდება ყველა პროფესიულ პროგრამაზე განსახორციელებელი მოდულების უზრუნველყოფა პროფესიული მასწავლებლების მიერ სამსახურებრივი ბარათებით მოთხოვნილი სასწავლო მასალა-ნედლეულით;

სტანდარტი 5.1.1.6 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;

კოლეჯის განკარგულებაში არსებული მატერიალური რესურსის, აღრიცხვას, შენახვას, განვითარებას და გამოყენების პროცესის მართვას ფინანსურ მენეჯერთან კოორდინაციით ახორციელებს მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის კოორდინატორი; კოლეჯში კალენდარული წლის ბოლო ხორციელდება მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია და შესაბამისად რესურსების შემოწმება.ამსთანავე პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი თვისა კოლეჯში მიმდინარეობს პროგრამების მატერიალური რესურსის შეფასება და განვითარების მიზნით შესაბამისი გეგმის შემუშავება, რომლის შემუშავებაში მონაწილეობას ღებულობს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი. ზემოთაღნიშნული პროცესების მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის მენეჯერი და დირექტორის მოადგილე.

სტანდარტი 5.1.1.7 დაკმაყოფილებულია, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;

სანიტარული კვანძები რეგულარულად სუფთავდება და საჭირო მასალებით მარაგდება, რათა შეიქმნას კომფორტული და ჰიგიენური გარემო. ვენტილაციისა და განათების სისტემები უზრუნველყოფენ ჰაერის ცვლას და ოპტიმალურ პირობებს სანიტარული სივრცეების გამოყენებისთვის სანიტარული კვანძები ადაპტირებულია მათი გადაადგილებისა და გამოყენების კომფორტისთვის. ყველა პროფესიულ სტუდენტს აქვს შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა ამ სივრცეებზე, რაც უზრუნველყოფს თანაბარ და ინკლუზიურ გარემოს. აღნიშნულ მისამართზე გამოყოფილია ცალკე დამლაგებელი

სტანდარტი 5.1.1.8 დაკმაყოფილებულია, პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;

9. **ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;**

სტუდენტები თრეორიულ სწავლებას გადის ქ. ჯვარში მდებარე შენობაში, სადაც არის ბიბლიოთეკა. C გარემო არ საჭიროებს ბიბლიოთეკას. სახელოსნოს აქვს კარგი განათების სისტემა, რადგან პროგრამის გათვალისწინებით არის კარგი განათების საჭიროება.

სტანდარტი 5.1.1.9. დაკმაყოფილებულია, ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

10. **სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;**

დაწესებულებაში სახელოსნოდ სივრცე და საწყობი განთავსებულია ერთ გარემოში, შესაბამისად, მომარაგების პროცესი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას.

სტანდარტი 5.1.1.10 დაკმაყოფილებულია, სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

11. **მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.**

საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებული განხორციელებისთვის, სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის უზრუნველყოფილია შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად და ხელმისაწვდომია, როგორც სტუდენტებისთვის ასევე პედაგოგებისთვის. დაწესებულებას გამოყოფილი აქვს სივრცე ბიბლიოთეკისათვის, რომელიც ასევე განკუთვნილია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სამუშაო სივრცედ. კოლეჯს ასევე გააჩნია მხატვრული ლიტერატურის წიგნის ფონდი.

სტანდარტი 5.1.1.11 დაკმაყოფილებულია, მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან: განცხ.რეგისტრაცია N882022734234 – 07.10.2022წ. საკადასტრო კოდი N 47.12.32.070, სასოფლოსამეურნეო დანიშნულების ნაკვეთი ფართით 5637 კვ.მ. (ხის მხატვრული დამუშავების სახელოსნო საერთო ფართი 190,61 კვ.მ.)
- აზომვითი ნახაზი ;
- მიღება ჩაბარების აქტი კოლეჯის კაპიტალური რემონტის შესახებ
- შესყიდვების დამადასტურებელი ხელშეკრულებები ინვენტარის შეძენის თაობაზე;
- 2025 წლის 20 თებერვლის #04/08 ბრძანება სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ სასაქონლო მატერიალური ფასეულობების (მარაგების) მიღების, აღრიცხვის, მართვისა გაცემის წესი და პროცედურა მუშაობის წესი;
- პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგები (ინფრასტრუქტურაზე/მატერიალურ რესურსზე ხელმისაწვდომობის ნაწილში).
- 2025 წლის 27 თებერვლის N 04/17 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები დამტკიცების შესახებ;
- გამოკითხვის შედეგები (სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობით კმაყოფილების ნაწილში).

- გამოკითხვის შედეგები (შენობის გათბობით კმაყოფილების ნაწილში).
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულება; სა
- პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები (მასალებისა და ნედლეულის შეუფერხებლად მიწოდების ნაწილში).
- 2025 წლის 20 თებერვლის N 04/06 სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დამტკიცების შესახებ;
- ჰიგიენური საშუალებების შესყიდვის დამადასტურებელი ხელშეკრულება;
- კომუნალურების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა N001864522 შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;**

სოფელ ჭალეში მდებარე ლოკაციაზე შენობში შესააბამის ადგილას განთავსებულია საევაკუაციო გეგმა და ცეცხლმაქრები თავისი გამოყენების ინსტრუქციებით. გარე და შიდა პერმეტრზე ხორციელდება მონიტორინგი ვიდეოსათვალთვალო სისტემის მეშვეობით.

დაწესებულება ზრუნავს, რომ თავის საკუთრებაში მყოფ ყველა შენობა-ნაგებობას ჰქონდეს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა. დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 24 ივნისს N1714455 განცხადების საფუძველზე შემოწმდა წალენჯიხის რაიონში, ქ. ჯვარში, ყაზბეგის ქუჩა N2-ში მდებარე სსიპ კოლეჯ „ლაკადას“ და წალენჯიხის რაიონის სოფელ ჭალეში მდებარე სსიპ კოლეჯ „ლაკადას“ სახელოსნოს შენობა-ნაგებობების ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა, რის საფუძველზეც კოლეჯს გამოეგზავნა 2022 წლის 25 ივლისის N126 და N127 შესაბამისობის აქტი, რომლის შესაბამისად წალენჯიხის რაიონის სოფელ ჭალეში მდებარე სსიპ კოლეჯ „ლაკადას“ სახელოსნოს შენობა-ნაგებობების ხანძარსაწინააღმდეგომდგომარეობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. აღნიშნული დასკვნის შემდგომ 04/12/2023 წ. კოლეჯის დირექტორმა მიმართა წერილობით სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვიტარების სააგენტოს დახმარებისთვის. აღნიშნულმა სააგენტომ 24/01/2024 წელს უპასუხა კოლეჯს, რომ ფოცხოეწერის დასახლებაში მდებარე სახელოსნოს ტერიტორიაზე 54 კუბური მეტრის მოცულობის წყლის რეზერვუარის წყლის აღების შესაძლებლობით მოწყობას განიხილავს და ითხოვა შესასრულებული სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. დაწესებულებამ წარადგინა 27/12/2024 წ. პროექტი ხარჯთაღრიცხვით, რაზეც მოუვიდათ პასუხი, რომ აღნიშნული სცილდება მათი კომპენტენციის ფარგლებს და საკითხი უნდა შეთანხმდეს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. რაზეც დაწესებულებამ მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს. ამ ეტაპზე პროექტი შეთანხმებულია, ჰიგრანტისთვის აუზის მშენებლობის მიზნით უნდა გამოცხადდეს ტენდერი.<u>დაწესებულებამ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს 16.07.2026 წ N938982 წერილის შესაბამისად წარმოუდგინა 16.07.2026 წლის N04/52 ბრძანებით დამტკიცებული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა, რის მიხედვითაც დაწესებულებამ აღნიშნული საკითხი შეაფასა როგორც მეტწილი</u>

და გამოსწორების ვადად განსაზღვრა ხუთი თვე - 2026 წლის 13 ნოემბერი. გამომდინარე აქედან ექსპერტთა შეფასება შეიცვალა და ინდიკატორი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

სტანდარტი 5.1.2.1. მეტწილ შესაბამისობაშია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ აღნიშნულ ფართში არაა დაცული უსაფრთხოების ზომები, თუმცა წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ სოფელ ჭალეში მდებარე ლოკაციაზე მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების მომსახურება. სასწავლო სახელოსნო აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტებით. საშტატო ერთეულით გათვალისწინებულია არაა მედდა, თუმცა პროფესიული განათლების მასწავლებელთან, რომელსაც გავლილი აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ტრენინგები, გაფორმებულია შეთანხმება. აღნიშნული მასწავლებელი საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას. ასევე აცნობებს საგანგებო სიტუაციების სამსახურს ცხელი ხაზით 112.

სტანდარტი 5.1.2.2. დაკმაყოფილებულია,_ დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;

2022 წლის 6 დეკემბრის N 04/82 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ საგანგებო მართვის გეგმა და საგანგებო შტაბის შემადგენლობა. წესის შესაბამისად გაწერილია კონკრეტული ინსტრუქციები და ქმედებები საგანგებო სიტუაციის შექმნის შემთხვევაში. დაწესებულებაში მოქმედებს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში შრომის უსაფრთხოების ზომების დაცვას, თუმცა ფოცხოეწერის დასახლებაში მდებარე სახელოსნოსთვის საგანგებო მართვის გეგმა და საგანგებო შტაბის შემადგენლობა არაა განსაზღვრული, რაც ექსპერტთა მხრიდან შეფასდა როგორც ხარვეზი. საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამის სამსახურთან სსიპ კოლეჯმა „ლაკადამ“ გააფორმა საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან, კანონიერებასა და წესრიგთან დაკავშირებული მომსახურების ხელშეკრულება. ამასთან, დაწესებულებამ დაიწყო საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთან შეთანხმების პროცესი. დაწესებულებამ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს 16.07.2026 წ N938982 წერილის შესაბამისად წარმოუდგინა 16.07.2026 წლის N04/52 ბრძანებით დამტკიცებული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა, რის მიხედვითაც დაწესებულებამ აღნიშნული საკითხი შეაფასა როგორც მეტწილი და გამოსწორების ვადად განსაზღვრა ერთი თვე - 2026 წლის 03 აგვისტო. გამომდინარე აქედან ექსპერტთა შეფასება შეიცვალა და ინდიკატორი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

სტანდარტი 5.1.2.3. მეტწილ შესაბამისობაშია, „სადურგლო საქმის“ სახელოსნოსთვის საგანგებო მართვის გეგმა და საგანგებო შტაბის შემადგენლობა არაა განსაზღვრული შესაბამისი დოკუმენტით, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა;

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კოლეჯის მფლობელობაში არსებულ ყველა ფართზე კოლეჯის შენობების და მასზე არსებული უძრავი და მოძრავი ნივთების ცოცხალი დაცვის გამოყენებით დაცვისა და უსაფრთხოებას უზრონველყოფს შპს ,,ვიქტორია სექიურითი“ და რომლებიც აგრეთვე უზრუნველყოფენ წესრიგის დაცვას შენობის

შიდა და გარე პერიმეტრზე გაფორმებულია მომსახურების შესახებ ხელშეკრულებები. შესაბამისად, დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. ფოცხოეწერის მისამართზე დამატებით არის დარაჯი.

სტანდარტი 5.1.2.4. დაკმაყოფილებულია,_ დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საქართველოს შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მოწერილობა
- 2025 წლის 27 თებერვლის N 04/17 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები დამტკიცების შესახებ;
- დაცვის თანამშრომლის მომსახურების ხელშეკრულება ;
- კამერების მონტაჟის ხელშეკრულება;
- ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

20.07.2026 წ.
თარიღი